

საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის 2009 წლის სამეცნიერო საქმიანობის წლიური ანგარიში

1. 2009 წელს დამთავრებული გეგმიური და გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მოკლე ანგარიში

საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი თავის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას წარმართავს ქვეყნის ბუნებრივი რესურსების - სასარგებლო წიაღისეულის, ენერგეტიკული, მიწის, წყლის, ტყის, ბუნებრივ-რეკრეაციული (მ.შ. ტურისტულ-რეკრეაციული) და ადამიანური რესურსების, მათი რაციონალური გამოყენების პრობლემების დასამუშავებლად, რეგიონების მიხედვით.

საანგარიშო წელს გეგმის შესაბამისად ჩატარებულია საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგიონის შიდა ქართლის ბუნებრივი რესურსების და მათი რაციონალური გამოყენების პრობლემების კვლევა.

უნდა აღინიშნოს, რომ 2008 წლის აგვისტოში რესუტის აგრესიის შედეგად დიდი ზიანი განიცადა სამაჩაბლოს და მთლიანად შიდა ქართლის ბუნებამ. მიუხედავად ამისა, ჩატარდა ამ მეტად მნიშვნელოვანი რეგიონის ბუნებრივი რესურსების არსებული მდგომარეობის ანალიზი და გამოკვლეული იქნა მათი რაციონალური, კომპლექსური გამოყენების პრობლემები.

შესწავლილი და გაანალიზებულია შიდა ქართლის სასარგებლო წიაღისეული (სახეობათა მიხედვით), ენერგეტიკული (ჰიდრო, მზის, ქარისა და გეოთერმული წყლების), მიწის, წყლის, ტყის, ბუნებრივ-რეკრეაციული (მ.შ. ტურისტულ-რეკრეაციული) და ადამიანური (შრომითი) რესურსები.

ნაჩვენებია, რომ შიდა ქართლის ტერიტორია მნიშვნელოვანი სასარგებლო წიაღისეულით გამოირჩევა. მათ შორის აღსანიშნავია: კვაისის ტყვია-თუთის, ჩორჩანის ტალკის და სერპენტინიტის, ფართო პალიტრის სამშენებლო მასალებისა და მოსაპირკეთებელი ქვების საბადოები, სასმელ-სამკურნალო მინერალური წყლების წყაროები და სხვ. რეგიონში არსებული სასარგებლო წიაღისეულის ცალკეულ სახეობათა მარაგებისა და პროგნოზული რესურსების დაზუსტების, ნედლეულის მოპოვებისა და გადამუშავების უდანაკარგო, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით შემუშავებული და რეკომენდებულია მთელი რიგი ეფექტური ღონისძიებების განხორციელება.

შესწავლილია ჰიდროენერგეტიკული და ალტერნატიული რესურსების – მზის, ქარისა და გეოთერმული წყლების ენერჯის ფართომასშტაბიანი გამოყენების შესაძლებლობები თბური და ელექტრული ენერჯების მისაღებად. ნაჩვენებია, რომ მათი ათვისება ხელს შეუწყობს ქვეყნის ერთიანი ენერგოსისტემის სტაბილურ მუშაობას, ორგანული სათბობის მოხმარების შემცირებას და ეკოლოგიური სიტუაციის გაუმჯობესებას.

აღნიშნულია, რომ შიდა ქართლი ქვეყნის აგროწარმოების ისტორიული კერაა და ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა მოსახლეობის სურსათით მომარაგებაში. სამუშაოში გამოკვლეულია აგროწარმოების ბაზის – მიწის რესურსების არსებული მდგომარეობა და დასახულია მისი გაუმჯობესების გზები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ნაყოფიერი მიწების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენების საკითხის სწორ გადაწყვეტას. მაღალპროდუქტიული სავარგულების შენარჩუნებას სასოფლო-სამეურნეო საჭიროებისათვის, მიწის ფონდების

ოპტიმალურ გადანაწილებას სამეურნეო დარგებსა და მიწათმოსარგებლეთა შორის და სხვ.

წყალი რეგიონის ეკონომიკის სტაბილური განვითარების აუცილებელი სტრატეგიული რესურსია. შესწავლილია რეგიონის ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების რესურსები, მათი რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრები, ჩატარებულია წყალსაბალანსო გამოკვლევები, რის შედეგად შესაძლებელია ტერიტორიის წყალუზრუნველყოფის შეფასება და სასმელ-სამეურნეო წყლის დეფიციტის შევსების წყალსამეურნეო ღონისძიებების დასახვა.

შესწავლილი და გაანალიზებულია შიდა ქართლის ტყეების, სახელმწიფო ტყის ფონდის თანამედროვე მდგომარეობა ტყის კატეგორიების მიხედვით; ტყეების ჯიშობრივი შემადგენლობა სატყეო მეურნეობებსა და მეურნეობებში. ნაჩვენებია, რომ აუცილებელია ტყეების ბიომრავალფეროვნების, ნიადაგდაცვითი, წყალმარეგულირებელი, სანიტარულ-ჰიგიენური და ეკონომიკურ-სოციალური ფუნქციების დაცვა და შენარჩუნება, რისთვისაც შემოთავაზებულია სათანადო ეფექტური ღონისძიებები.

რეგიონის ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების შესწავლისა და ანალიზის შედეგად, თანამედროვე მოთხოვნების პროცეპტებზე დაყრდნობით განსაზღვრულია საკურორტო-ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების პერსპექტივები და მისი სრულყოფის შესაძლებლობები. აღნიშნულია, რომ შიდა ქართლისათვის უაღრესად პერსპექტიულია დასვენებისა და ტურიზმის მდგრადი განვითარება. რეკრეაციული რესურსების ხარისხის კლებისა და ზოგჯერ მათი დეგრადაციის ტენდენციების აღსაკვეთად, აგრეთვე ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების სრულფასოვანი გამოყენებისათვის შემუშავებულია სათანადო რეკომენდაციები.

პროგრამის ამოცანების ფარგლებში შესწავლილია შიდა ქართლის ადამიანური (შრომითი) რესურსების ფორმირებისა და პრაქტიკული გამოყენების საკითხები. ნაჩვენებია, რომ რეგიონში ადგილი აქვს დისბალანსს სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის, რაც თავს იჩენს უმუშევრობის მაღალ დონეში და მასთან დაკავშირებულ ნეგატიურ მოვლენებში. დასახულია უმუშევრობის დონის შემცირებისა და შრომითი რესურსების ეფექტური გამოყენების სრულყოფის გზები.

ჩატარებული კვლევების შედეგად წარმოდგენილია შიდა ქართლის ბუნებრივი და ადამიანური რესურსების რაციონალური გამოყენების ეფექტური წინადადებები და რეკომენდაციები. მიღებული შედეგები ასახულია მონოგრაფიულ ნაშრომში შიდა ქართლის ბუნებრივ რესურსებზე და სხვადასხვა რეიტინგულ გამოცემებში გამოქვეყნებულ სამეცნიერო შრომებში.

2009 წელს მიღებულია საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ორი გრანტი შემდეგ პროექტებზე:

1. `ზუგდიდი-ცაიშის აგროკომპლექსის თბოსიცივით მომარაგების სისტემის დამუშავება არატრადიციული ენერჯის (გეოთერმული წყლების) ბაზაზე~ (ხელშეკრულება #423). დამუშავებულია თბოსიცივით მომარაგების სისტემების სქემები, შეფასებულია მათი გამოყენების ენერგო-ეკონომიკური ეფექტურობა და წარმოდგენილია სათანადო რეკომენდაციები. პროექტის დამთავრების ვადაა – 2010 წლის 1 მარტი.

2. `ბარიტ და ნახშირშემცველი ტექნოგენური საბადოების რაციონალური გამოყენების მიმართულებების შემუშავება~ (ხელშეკრულება #443). 2009 წელს შესრულებულია ბარიტშემცველი საბადოების ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასება

ბარიტემცველი ნარჩენების კვლევის მეთოდის შემუშავება და სხვ. პროექტის დამთავრების ვადა – 2011 წლის 1 მარტი.

საანგარიშო წელს საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში, გრანტის მისაღებად, ცენტრის თანამშრომლების მიერ მომზადებული და წარდგენილია 5 პროექტი.

დამუშავებულია ტყიბული-შაორის საბადოს თანამედროვე დონეზე ათვისების პროგრამა, რომელიც წარდგენილია საქართველოს მთავრობის სათანადო ინსტანციებში განსახილველად.

2. 2009 წელს ცენტრის თანამშრომელთა მიერ გამოქვეყნებულ სამეცნიერო შრომათა ნუსხა და მოკლე ანოტაციები

1. ი.ჟორდანიას, გ.მაღალაშვილი, გ.გობეჩია, ქ.ვეზირიშვილი, ო.ფარესიშვილი, ლ.ჩიქავა და სხვ. შიდა ქართლის ბუნებრივი რესურსები და მათი გამოყენების პერსპექტივები. საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი. თბილისი, 2009. 17,5 ნაბ. თაბ. (მონოგრაფია).

ანოტაცია: განხილულია შიდა ქართლის მხარის სასარგებლო წიაღისეული, ენერგეტიკული, მიწის, წყლის, ტყის, ბუნებრივ-რეკრეაციული და შრომითი რესურსები, გაანალიზებულია მათი თანამედროვე მდგომარეობა ცენტრის მიერ ჩატარებულ კვლევათა შედეგების და სათანადო პროფილის სამეცნიერო-კვლევითი, სასწავლო და საწარმოო დაწესებულებათა შრომებისა და მასალების განზოგადების საფუძველზე; წარმოდგენილია მათი რაციონალური, კომპლექსური გამოყენების პერსპექტიული მიმართულებები.

2. ქ.ვეზირიშვილი. თბომასაგადამცემი დანადგარები და თბოფიკაცია. სახელმძღვანელო. 64 გვ. გამომცემლობა `ტექნიკური უნივერსიტეტი~. თბილისი. 2009.

ანოტაცია: სახელმძღვანელოში მოცემულია თბომასაგადამცემი დანადგარების აღწერილობა და სქემები. განკუთვნილია ტექნიკური უნივერსიტეტის თბოენერგეტიკის სპეციალობის სტუდენტებისათვის.

3. ქ.ვეზირიშვილი. თბომასაგადამცემი დანადგარები და თბოფიკაცია. მეთოდური მითითებები ლაბორატორიული სამუშაოების შესასრულებლად. 50 გვ. გამომცემლობა `ტექნიკური უნივერსიტეტი~. თბილისი. 2009.

ანოტაცია: მოყვანილია თბომასაგადამცემი დანადგარების კურსის ლაბორატორიული სამუშაოების მეთოდური მითითებები. განკუთვნილია ტექნიკური უნივერსიტეტის თბოენერგეტიკის სპეციალობის სტუდენტებისათვის.

4. ქ.ვეზირიშვილი, ნ.მირიანაშვილი, თ.გედევანიშვილი. სორბენტის ხსნარსა და ჰაერის ნაკადს შორის თბომასაგადამცემის პროცესის გამოკვლევა. ჟ. `ინტელექტი~, 2(34). გვ.60-63. თბილისი. 2009.

ანოტაცია: წარმოდგენილია გეოთერმული ენერჯის ბაზაზე მოქმედი თბოსიცივით მომარაგების სისტემებში მიმდინარე თბომასაგადამცემის პროცესების ექსპერიმენტული კვლევის შედეგები.

5. ქვეზირიშვილი. რეგიონის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის განვითარების ოპტიმიზაცია და მოდელირება. ჟ. `ენერგია~, 1(49). გვ.49-54. თბილისი. 2009.

ანოტაცია: განხილულია რეგიონის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის განვითარების ძირითადი მიმართულებები. გადაწყვეტილია მისი ოპტიმიზაციის ამოცანა.

6. ქვეზირიშვილი. ეკოსისტემის დაცვის ეკონომიკური შეფასების მეთოდოლოგია. ჟ. `ენერგია, #2(50)-1. გვ.73-75. თბილისი. 2009.

ანოტაცია: წარმოდგენილია ეკოლოგიური ზარალის შესაფასებელი წლიური დანახარჯების ფორმულა.

7. ქვეზირიშვილი. ერთიანი ენერგეტიკული სისტემების რეგულირება, კოორდინაცია და მართვის ოპტიმიზაცია. ჟ. `ენერგია~, #2(50)-2. გვ.25-30. თბილისი. 2009.

ანოტაცია: წარმოდგენილია ენერგეტიკული სისტემის ის ძირითადი კომპონენტები, რომლებიც აუცილებელია მისი მართვის ოპტიმიზაციისათვის.

8.

«...», #4(52), .63-65. . 2009.

ანოტაცია: წარმოდგენილია გეოთერმული ენერგორესურსების გამოყენების ენერგოეკონომიკური ეფექტურობის ამაღლების მეთოდები ავტორების მიერ დამუშავებული ახალი სქემების საფუძველზე.

9. ქვეზირიშვილი, ნ.მირიანაშვილი, თ.გედევანიშვილი. სამეგრელოს რეგიონის გეოთერმული თბო-სიცივით მომარაგების საპილოტო პროექტები და მათი ენერგოეკონომიკური მაჩვენებლები. ჟ. `ენერგია, #4(52). გვ.66-71. თბილისი. 2009.

ანოტაცია: გაანალიზებულია სამეგრელოს რეგიონის გეოთერმული თბოსიცივით მომარაგების სქემები და ჩატარებულია ამ სქემების გამოყენების ტექნიკურ-ეკონომიკური ეფექტურობის შეფასება.

10. გ.მაღალაშვილი. აქატის ჟეოდებში ოპალისებრი არშიის და მასში ჰიდროთერმულ-მეტასომატური ცეოლითიზაციის დადგენა და კონცენტრულ-ზონალური სტრუქტურების წარმოქმნის მექანიზმის გაშიფრვა. საიუბილეო შრომათა კრებული, მიძღვნილი კავკასიის ა.თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის 80 წლისთავისადმი. გვ.327-332. თბილისი. 2009. (რუსულ ენაზე). A

ანოტაცია: ავტორის მიერ დადგენილია აქატის ჟეოდის გარშემო, შემცველი ქანის საზღვარზე რეაქტიული არშია, რომელიც წარმოდგენილია ოპალით და ცეოლიტებით. ოპალი კაჟმიწა კოლოიდურ ხსნარში, იწვევს ცნობილი ტალღური თეორიის მოხედვით რითმულ რეაქციას, რომლის შედეგად ხდება კოლიოდის დაშლა და წარმოიქმნება კონცენტრულ-ზონალური `აქატური~ სტრუქტურები.

11. გ.მაღალაშვილი, ლ.გაბუნია და სხვ. მდ.დურუჯის თიხაფიქლების შესწავლა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში გამოყენების მიზნით. საიუბილეო შრომათა კრებული, მიძღვნილი კავკასიის ა.თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის 80 წლისთავისადმი. გვ.399-412. თბილისი. 2009. A

ანოტაცია: დასმულია საკითხი მდ.დურუჯის თიხაფიქლების ნაშალი მასალის გამონატანის გამოყენების შესახებ ნიადაგის აგროქიმიური თვისებების ასამაღლებლად. შემოთავაზებულია მასალის კომპლექსური გამოყენება სხვადასხვა სამშენებლო და კერამიკულ წარმოებაში, ხოლო წვრილდისპერსულის – ბუნებრივი ორგანულ-მინერალური სასუქის სახით.

12. გ.მაღალაშვილი, ჯ.კაკულია და სხვ. ტრაქიტების ბიოგადამუშავების შესაძლებლობის დადგენა კალიუმის ნაერთების მიღების მიზნით. საქართველოს კერამიკოსთა ასოციაციის მე-2 საერთაშორისო კონფერენციის და გამოფენის შრომები, მიძღვნილი კალ.ქუთათელაძის დაბადების 100 წლისთავისადმი. გვ.139-141. თბილისი. 2009. A

ანოტაცია: განხილულია კალიუმის ნაერთების მიღების შესაძლებლობა არატრადიციული ნედლეულიდან – ასკანის საბადოს ციხისუბნის ბენტონიტური თიხის გადასახსნელი ტრაქიტებისაგან, რომლებიც შეიცავენ 12%-მდე კალიუმის ოქსიდს. ბიოტექნოლოგიური მეთოდით შესაძლებელია მისი გამოყოფა როგორც კალიუმის სასუქის, ისე სხვა მეტად საჭირო ნაერთების მისაღებად.

13. გ.მაღალაშვილი. სამკურნალო მინერალების და სამკურნალო პირამიდის ადამიანზე ზემოქმედების საკითხისათვის. საიუბილეო შრომათა კრებული, მიძღვნილი კავკასიის ა.თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის 80 წლისთავისადმი. გვ.324-327. თბილისი. 2009. A

ანოტაცია: ნაჩვენებია, რომ მინერალების ფერი გარკვეულწილად ზემოქმედებას ახდენს ადამიანზე. ექვგარეშეა ქარვის და სხვა ორგანული წარმოშობის (მუმიო და სხვ.) ნივთიერებათა დადებითი ზემოქმედება. პირველად არის მოცემული მთის ბროლის (კვარცის) როგორც სუსტი, მაგრამ მაინც დამაწყნარებელი ზემოქმედების ახსნის მცდელობა.

14. გ.მაღალაშვილი, ბ.ჩიჩუა და სხვ. საქართველოს მინერაგენიის ძირითადი მახასიათებლები. საიუბილეო შრომათა კრებული, მიძღვნილი კავკასიის ა.თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის 80 წლისთავისადმი. გვ.13-23. თბილისი. 2009. A

ანოტაცია: განხილულია საქართველოს ტერიტორიის გეოლოგიური განვითარება ალპურ ეპოქაში, ლითოგეოდინამიური კომპლექსები და მათი სპეციალიზაცია მეტალების, არამეტალებისა და საწვავი წიაღისეული ნედლეულის შესაფასებლად.

15. ჯ.კაკულია, ვ.თოთიბაძე, შ.მაღალაშვილი და სხვ. ბარიტემცველი შლამების წინასწარი ბიოგადამუშავება ბარიტის ფლოტაციის ინტენსიფიკაციის მიზნით. `სამთო ჟურნალი. #4. 6 გვ. 2009.

ანოტაცია: ბარიტემცველი შლამებიდან ფლოტაციით ბარიტის კონცენტრატის მიღების პროცესის გაუმჯობესების მიზნით ჩატარებულია შლამების წინასწარი ბაქტერიული დამუშავება. ნაჩვენებია, რომ ბიოგამოტუტვის შედეგად შლამებში ბარიტის შემცველობა გაიზარდა საშუალოდ 7%-ით. ამასთან ერთად დამუშავების პროცესში მოხდა შლამების გრანულომეტრული შემადგენლობის ცვლილება.

16. ჯ.კაკულია, რ.კვატაშიძე, შ.მაღალაშვილი და სხვ. საქართველოს მინერალური რესურსების გამოყენების შესაძლებლობები სოფლის მეურნეობისათვის აუცილებელი სასუქების წარმოებაში. `სამთო ჟურნალი. #11. 6 გვ. 2009.

ანოტაცია: განხილულია ქვანახშირის მრეწველობის ნარჩენების და დაბალხარისხოვანი ნახშირის სახეობების ბაზაზე კომპლექსური ბიოლოგიური სასუქების, ფოსფორიტების და კალიუმშემცველი მინერალური ნედლეულის ძირითადი საბადოების ბაზაზე ფოსფორიანი, კალიუმიანი და კომპლექსური სასუქების წარმოების შესაძლებლობები ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით.

17. ჯ.კაკულია, შ.მაღალაშვილი, ლ.ქართველიშვილი და სხვ. ჩორდის ბარიტშემცველი ნარჩენებიდან ბარიტისა და ბარიტ-კალციტის კონცენტრატების მიღების შესაძლებლობების კვლევა. ჟურნ. `მეცნიერება და ტექნოლოგიები. #10-12. 6 გვ. 2009.

ანოტაცია: ჩორდის ბარიტშემცველი ნარჩენების გამდიდრებადობაზე ჩატარებული წინასწარი კვლევების შედეგად დადგენილია ბარიტისა და ბარიტ-კალციტური კონცენტრატების მიღების შესაძლებლობა. მასალის საფლოტაციოდ მოსამზადებლად შერჩეულია დეზინტეგრაციის კომბინირებული ტექნოლოგიური სქემა.

18. 9. .39-41. 2009.

ანოტაცია: აღწერილია ტყიბული-შაორის საბადოს სამთო-გეოლოგიური პირობების თავისებურებანი. დადგენილია ტყიბულის შახტების დაბალი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გამოწვევი მიზეზები. დამუშავებულია საბადოს ათვისების ექსტენსიური მოდელიდან ინტენსიურ მოდელზე გადასვლის ტექნოლოგიური პარამეტრები. დასაბუთებულია ტყიბულში, როგორც ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებისა და ენერგოდამოუკიდებლობის გარანტის, მძლავრი `შახტი-თესი~ კომპლექსის მშენებლობა. შემოთავაზებულია საბადოზე თანმდევნი გაზისა და თეს-ში ნახშირის წვის პროდუქტების გამოყენებით საქართველოში თანამედროვე ნახშირის მრეწველობის ორგანიზაცია.

19. 1(49). .22-26. 2009.

ანოტაცია: შემოთავაზებულია ტყიბული-შაორის საბადოს საბალანსო მარაგის მთლიანად დახრილი ჭაურით და საშახტო ველის ცალკეული ბლოკებით დაყოფის, ამოსაღები სვეტების (1500 მ მეტი სიგრძის მქონე) ტექნოლოგიური სქემები. დასაბუთებულია თანამედროვე მექკომპლექსების გამოყენებით სამთო სამუშაოების მაღალი კონცენტრაციისა და ინტენსიფიკაციის შესაძლებლობა, რაც შრომის ნაყოფიერების ზრდასა და მოპოვებული ნახშირის თვითღირებულების შემცირების ძირითადი პირობაა.

20. ი.რეხვიაშვილი, თფირცხალავა. ნახშირის საბადოების სამთო-გეოლოგიური პირობების ტექნოლოგიურობის შეფასების შესახებ. სამთო ჟურნალი. #1(22). გვ.58-60. 2009.

ანოტაცია: დადგენილია, რომ ტყიბული-შაორის საბადოს სამთო-გეოლოგიური პირობები თავისი სირთულით შეეპირისპირება განსაკუთრებული სირთულის სამთო-გეოლოგიური პირობების მქონე დონეცის, რურისა და ყარაგანდის აუზებს, სადაც ნახშირის მოპოვება თითქმის მთლიანად მექანიზებული წესით სრულდება. დასაბუთებულია, რომ ტყიბული-შაორის საბადოს სამთო-გეოლოგიური პირობების

ტექნოლოგიურობის ინტეგრალური მაჩვენებელი გაცილებით ნაკლებია, რაც ამ აუზების შახტებში მექანიზებული კომპლექსების ექსპლუატაციის შედეგების ტყიბულის შახტებში გათვალისწინების უფლებას იძლევა.

21.

5. 21-27. 2009.

ანოტაცია: კონცეფციის ძირითადი დებულებების პრაქტიკული რეალიზაცია ქვეყნის ენერგეტიკული პოლიტიკის შეცვლას მოითხოვს, რაც ბაზისური ელექტროენერჯის წარმოებაში იმპორტირებული გაზისა და ნავთობის ტყიბულის ნახშირით ჩანაცვლების შესაძლებლობას უზრუნველყოფს.

22. გ.გობეჩია. საქართველოში მეწყრულ-გრავიტაციული მოვლენების შედეგები და მათი განვითარების კანონზომიერები. საქართველოს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის შრომათა კრებული. თბილისი. 8 გვ. 2009.

ანოტაცია: განხილულია მეწყრულ-გრავიტაციული მოვლენების განვითარების რაოდენობრივი მაჩვენებლები და მათი მოსალოდნელი აქტივაციის შესწავლისა და შეფასების საფუძველზე შემოთავაზებულია საქართველოს ტერიტორიის პირობით ზონებად დაყოფა, სადაც უნდა ჩატარდეს მათი შესაბამისი ბუნების დაცვითი და რაციონალური ბუნებათსარგებლობის ღონისძიებები.

23. გ.გობეჩია, ე.წერეთელი და სხვ. წყალმოვარდნები და ღვარცოფული მოვლენები საქართველოში და ტერიტორიის ზონირება მათი საშიშროების რისკის მიხედვით. გაეროს ეგიდით საერთაშორისო სიმპოზიუმის `წყალდიდობები და მათთან ბრძოლის თანამედროვე მეთოდები. მოხსენებათა კრებული. თბილისი. 2009 წლის სექტემბერი. 10 გვ.

ანოტაცია: აღნიშნულია, რომ საქართველო წყალმოვარდნების, წყალდიდობების და ღვარცოფტრანსფორმირებადი წყალსადინარების რაოდენობით, განმეორებადობის სიხშირით და ქვეყნისადმი მიყენებული ზიანით მთიანი მხარეების ერთ-ერთ ურთულეს რეგიონს განეკუთვნება. მოცემულია ტერიტორიის ზონირება აღნიშნული მოვლენების საშიშროების რისკის მიხედვით.

24. გ.გობეჩია, ქ.მახარაძე, რ.ფირცხალავა. საქართველოს ჰიდრორესურსების რაციონალური გამოყენების საკითხები ეკონომიკის მდგრადი განვითარების თვალსაზრისით. თბილისი. ჟურნალი მეცნიერება და ტექნოლოგიები. #7-9. გვ.46-49. 2009

ანოტაცია: განხილულია საქართველოს ჰიდრორესურსების რაციონალური გამოყენების საკითხები.. ნაჩვენებია, რომ ეკონომიკის მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით საჭიროა წყლის რესურსების რაციონალურ გამოყენებაში შესაბამისი ინდიკატორული სისტემის შექმნა და მონიტორინგის განხორციელება.

25. ქ.მახარაძე, რ.ფირცხალავა. ბუნებრივი წყლები – ქვეყნის ეროვნული სიმდიდრე. თბილისი. ჟურნალი მეცნიერება და ტექნოლოგიები. #10-12. გვ.16-18. 2009

ანოტაცია: განხილულია ბუნებრივი წყლების მსოფლიო და ადგილობრივი რესურსები, წყლის უნიკალური თვისებები, რაც რაოდენობრივ პარამეტრებთან ერთად განსაზღვრავს ჰიდრორესურსებს, როგორც ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის კატეგორიას.

26. ა.ზედგინიძე, თ.პატარქალაშვილი, ლ.ზედგინიძე. საქართველოს სატყეო დარგის მართვის ახალი ორგანიზაციული ფორმები. თბილისი. ჟურნალი მეცნიერება და ტექნოლოგიები. #7-9. გვ.115-117. 2009

ანოტაცია: განხილულია საქართველოს სატყეო მეურნეობის მართვის ახალი ორგანიზაციული ფორმების დადებითი და უარყოფითი მხარეები. აღნიშნულია, რომ სატყეო მეურნეობის მართვის ახალი ორგანიზაციული სტრუქტურა ვერ პასუხობს სატყეო სექტორის თანამედროვე მოთხოვნებს საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

27. ა.სულაძე და სხვ., დასავლეთ საქართველოს ქვედა იურულ-აალენური და თბილისის რაიონის პალეოცენური ნალექების კატაგენეზისა და ნავთობგაზიანობის შესახებ, კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის შრომათა კრებული, თბილისი, 2009, გვ.178-182

ანოტაცია: განხილულია დასახელებული პრობლემის ზოგიერთი ასპექტი, კერძოდ, გაბნეული ორგანული ნივთიერების (ვიტრინიტომეტრიის მეთოდით) და შემცველი ქანების (მეორადი) შეცვლის ხარისხი, რის საფუძველზეც გაკეთებულია დასკვნა აღნიშნული ნალექების მხოლოდ გაზზე პერსპექტიულობის თაობაზე.

28. ა.სულაძე და სხვ., ბუნებრივი გარემოს როლი ძველი ადამიანის ფორმირების პროცესში, აღმანახი " ", მოსკოვი, 2009. 32 გვ.

ანოტაცია: ლიტერატურული მონაცემებისა და საკუთარი მასალების საფუძველზე (მათ შორის დმანისის ადგილსამყოფელიდან) გაანალიზებულია ჰომინიდების განვითარების უმაღლეს საფეხურზე მყოფი ძველი ადამიანის ფორმირების პროცესში ბუნებრივი გარემოს (მათ შორის ვულკანური პროცესების) გავლენის მნიშვნელობა.

29. ა.სულაძე და სხვ., მშფოთვარე დედამიწა. ჟურნალი შციენტეფიც ამერიცან (), მოსკოვი, 2009. 12 გვ (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად).

ანოტაცია: გამახვილებულია ყურადღება დედამიწის ენდოგენურ-ვულკანურ ენერჯის გამოვლინებებზე.

30. ა.სულაძე და სხვ., გლობალური დათბობა და თბოენერგეტიკის პრობლემები, სამთო ჟურნალი, თბილისი, 2009 წ. 10 გვ. (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად).

ანოტაცია: არსებული მასალების ანალიზის შედეგად გამოთქმულია მოსაზრება, რომ ე.წ. კლიმატური ვარიაციები გამოწვეული უნდა იყოს უწინარეს ყოვლისა დედამიწის ორბიტული და ენდოგენური (სიღრმული) პროცესებით და ამრიგად ეჭვქვეშ დგება არაკეთილსინდისიერ მკვლევართა მიერ შეგნებულად გავრცელებული დებულება ე.წ. გლობალური დათბობის ანთროპოგენური ფაქტორებით გამოწვევის თაობაზე.

31. ა.სულაძე, შიდა ქართლის ნავთობგაზიანობა, კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის შრომათა კრებული, თბილისი, 2009 . 50 გვ. (მომზადებულია გამოსაქვეყნებლად).

ანოტაცია: განხილულია შიდა ქართლში არსებული ნავთობისა და გაზის გამოვლინებების შესახებ. ფაქტიურ მასალებში მითითებულია იმ ზოგიერთ ნაკლოვანობებზე, რომლებიც თვალში საცემია ამ რეგიონში ჩატარებული სამუშაოების არასახარბიელო შედეგების გამო.

32. ლ.ჩიქავა, დემოლოგია და მისი კანონთა სისტემა. ჟურნ. ფინანსები, საბანკო საქმე, ინვესტიციები, თბილისი, 2009. #1 (ინგლ ენაზე).

ანოტაცია: მიზანშეწონილია, მოვლენათა აღწერილობადობის გამომხატველი ტერმინი "დემოგრაფიის" ნაცვლად, გამოყენებულ იქნას ტერმინი "დემოლოგია", რომელიც მოსახლეობის გამრავლების კანონზომიერებათა თაობაზე მეცნიერულ მოძღვრებას ნიშნავს. დემოლოგიური კანონი გამოხატავს დემოლოგიურ მოვლენებსა და პროცესებს შორის მყარ, მუდმივგანმეორებად, არსებით შინაგან მიზეზ-შედეგობრივ კავშირს და, მისგან გამომდინარე, კანონზომიერებასა და ტენდენციებს.

33. ლ.ჩიქავა, დემოგრაფიულ მაჩვენებლებზე სიღარიბის გავლენის ნეგატიური შედეგები, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტ.7, თბილისი, 2009. 8გვ.

ანოტაცია: სიღარიბე თანამედროვეობის ერთ-ერთი უმწვავესი გლობალური პრობლემაა. იგი ნეგატიურ გავლენას ახდენს ქორწინებაზე, მოსახლეობის ბუნებრივმატებაზე, სიცოცხლის ხანგრძლივობაზე, მოკვდაობაზე, დემოგრაფიული ოპტიმუმის უზრუნველყოფაზე. საქართველოსნაირ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში მყოფ ქვეყნებში სიღარიბის დაძლევას თვალსაჩინო წვლილის შეტანა შეუძლია შობადობის გადიდებაშიც, რამდენადაც იგი ხელს უწყობს ოჯახში ბავშვთა ფაქტიური და რეალურად მოსალოდნელი რიცხოვნობის სასურველ ოდენობასთან მიახლოებას.

34. ლ.ჩიქავა, თავისუფალი ვაჭრობა თუ ეკონომიკური პროტექციონიზმი? ჟურნ. "ახალი ეკონომისტი", თბილისი, 2009. #4, 5გვ.

ანოტაცია: ეკონომიკურად ძლიერ და სუსტად განვითარებულ ქვეყნებს შორის თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკაზე დამყარებული ურთიერთობა პრივილეგიურ მდგომარეობაში აყენებს პირველ ჯგუფში შემავალ ქვეყნებს და ძირს უთხრის წარმოების განვითარებას მეორე ჯგუფში შემავალ ქვეყნებში, რომელთა საგარეო ვაჭრობის ბალანსი, როგორც წესი, პასიურია. ამიტომ განვითარებად და მისნაირ მდგომარეობაში მყოფ სხვა ქვეყნებში, დროებითი ღონისძიების სახით, გამართლებულია ეკონომიკური პროტექციონიზმის გამოყენება, შორეულ პერსპექტივაში კი, საერთო ეკონომიკური აღმავლობის კვალობაზე, მიზანშეწონილია თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკის გატარება.

35. ლ.ჩიქავა. საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი მსოფლიოს მოსახლეობის გამრავლების საერთო კანონზომიერებათა შუქზე. (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად).

36. ლ.ჩიქავა. შრომის მწარმოებლურობის ზრდის ეკონომიკური კანონის მოქმედების თავისებურებანი გლობალიზაციის პირობებში. (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად).

3. 2009 წელს მოპოვებული სახელმწიფო და სამეცნიერო ეროვნული ფონდის გრანტების რაოდენობა

ცენტრის მიერ საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში 2009 წელს წარდგენილი იქნა 5 პროექტი.

ორმა პროექტმა 2009 წელს ზუგდიდი-ცაიშის აგროკომპლექსის თბოსიცივით მომარაგების სისტემების დამუშავება არატრადიციული ენერჯის (გეოთერმული წყლების) ბაზაზე და ბარიტ და ნახშირშემცველი ტექნოგენური საბადოების რაციონალური გამოყენების მიმართულების შემუშავება ეკოლოგიური საკითხების გათვალისწინებით მოიპოვა გრანტი.

4-5. საქართველოს და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობა

1. ირ.ჟორდანია. მილსადენების ექსპლუატაციის ხანგრძლივობის საკითხები. საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური სემინარი "მაგისტრალური მილსადენების შედუღების პროცესები და ტექნოლოგია". საქართველოს შემდუღებელთა ასოციაცია. თბილისი, 2009 წლის დეკემბერი.

2. ა.სულაძე და სხვ. გლობალური ფაქტორების როლი დედამიწის კლიმატების ფორმირებაში (ვულკანიზმი და კლიმატი)" V საერთაშორისო კონფერენცია "ვულკანიზმი და ბიოსფერო", ტუაფსე (რუსეთი), 2009 წლის სექტემბერი. მოხსენების მოკლე შინაარსი გამოქვეყნდა მასალებში (გვ.25-26), მოხსენების მთელი ტექსტი (14 გვ) გამოქვეყნდება კონფერენციის შრომებში.

3. ა.სულაძე და სხვ. ჰომინიდების მიერ ახალი არეალების ათვისების საკითხისათვის, V საერთაშორისო კონფერენცია "იერარქია და ხელისუფლება ცივილიზაციის ისტორიაში", მოსკოვი, 2009წლის 23-26 ივნისი. მოხსენების მოკლე შინაარსი განთავსებულია ინტერბეტში (ჰტტპ://მაცროვეოლოჟიონ.ნაროდ.რუ/სეცტიონ2009.ჰტმ). მოხსენების მთელი ტექსტი (15გვ.) დაბეჭდილია კონფერენციის მასალებში.

4. ა.სულაძე და სხვ. ვულკანიზმი და ჰომინიდების ევოლუცია". მოხსენება წაკითხულ იქნა "ცნობილი მეცნიერების ნინო თათრიშვილისა და გიორგი ზარიძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომასა და სამეცნიერო სესიაზე, თბილისი, 2009.

5. ლ.ჩიქავა დემოგრაფიულ მაჩვენებლებზე სიღარიბის გავლენის ნეგატიური შედეგები. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია "ეკონომიკური განვითარების ტენდენციები თანამედროვე ეტაპზე" მიძღვნილი პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 65-ე წლისთავსადმი, თბილისი, 2009 წლის 2 ივლისი.

6. ლ.ჩიქავა. უთანასწორობა შემოსავლის განაწილებაში და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 2009 წლის 25 სექტემბერი.

7. ლ.ჩიქავა "საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი მსოფლიოს მოსახლეობის გამრავლების საერთო კანონზომიერებათა შუქზე". საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 2009 წლის 16 დეკემბერი.

8. ლ.ჩიქავა "დემოგრაფიული კრიზისი საქართველოში და მისი დაძლევის გზები", მოხსენება წაკითხულია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სხდომაზე, 2009.

9. გ.მაღალაშვილი, ჯ.კაკულია და სხვ. ტრაქტიების ბიოგადამუშავების შესაძლებლობების დადგენა კალიუმის ნაერთების მიღების მიზნით. საქართველოს კერამიკოსთა ასოციაციის მეორე საერთაშორისო კონფერენცია. თბილისი, 2009 წლის ოქტომბერი.

10. გ.მაღალაშვილი. საქართველოში არსებული არატრადიციული მინერალური სასუქების გამოყენების პერსპექტივები. შოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გაფართოებული სხდომა და სამეცნიერო-პრაქტიკული სემინარი. თბილისი, 2009 წლის 3 დეკემბერი.

11. გ.გობეჩია და სხვ. წყალმოვარდნები და ღვარცოფული მოვლენები საქართველოში და ტერიტორიის ზონირება მათი საშიშროების რისკის მიხედვით. საერთაშორისო სიმპოზიუმი გაეროს ეგიდით. თბილისი, 2009 წლის სექტემბერი.

დანართი

საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის 2009 წლის შედეგების მონაცემები საუკეთესო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების ტიტულის მოსაპოვებლად

1. ცენტრის თანამშრომელთა საერთო რაოდენობა – 28,

მ.შ. მეცნიერ თანამშრომელთა რაოდენობა – 14

2. სამეცნიერო ჟურნალებში და შრომათა კრებულებში გამოქვეყნებული შრომების რაოდენობა – 33

მ.შ. ა) საზღვარგარეთ - 4

ბ) საქართველოში - 29

3. გამოქვეყნებული მონოგრაფიების რაოდენობა - 1

მ.შ. საქართველოში - 1

4. – არა

5. უმაღლესი სასწავლებლებისათვის შედგენილი და გამოცემული სახელმძღვანელოების რაოდენობა – 2

6. კონფერენციების, სიმპოზიუმების და ა.შ. მასალებში გამოქვეყნებული შრომების რაოდენობა - 10

ა) საერთაშორისო - 5

ბ) საქართველოში - 5

7-8. – არა

9. მიღებული გრანტების რაოდენობა - 2

10-12. – არა

13. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო განყოფილებათა სხდომებზე მოსმენილი ცენტრის თანამშრომელთა მოხსენებების რაოდენობა – 3

14. – არა

ცენტრის დირექტორი,
ტექნ. მეცნ. დოქტორი -

ქ.ვეზირიშვილი-ნოზაძე